



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№934

2016 წლის 30 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხის მორების, უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი და 119-ე მუხლის მე-2 პუნქტების, აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N31 განკარგულების “ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N44 განკარგულების“ შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. პრივატიზებულ იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხის მორები, კერძოდ: კედარი - 40 ცალი (45.13 კვ.მ); კვიპაროსი - 24 ცალი (5,21 კვ.მ) ალვის ხე -5 ცალი (1,46 კვ.მ) კანადური ვერხვი -22 ცალი (19,12 კვ.მ) ვერხვი - 9 ცალი (2,37 კვ.მ)კაკალი -9 ცალი (2,27 კვ.მ)- სულ 109 ცალი (75.56 კვ.მ).

საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2016 წლის 29 აგვისტოს N2161 მოხსენებითი ბარათი/

მუხლი 2. საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N002208216 შესაბამისად - 10 959 ლარის ოდენობით.

მუხლი 3. საგარანტიო თანხა განისაზღვროს 1 096 ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 1 096 ლარის ოდენობით.

მუხლი 4. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს იოსებ ტყემალაძეს ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:

Handwritten signature



ვახლო ჯამბურია